საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 21 0000808177

20/08/2021

შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის

აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის ხვა თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 29 აპრილს №296-03/21 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №431895) წარმოდგენილ იქნა შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2 ცენტრის დირექტორის 2021 წლის 13 მაისის №442789 ბრძანების საფუძველზე, შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532018 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განახორციელა 2021 წლის 23 ივნისს. ხოლო 2021 წლის 30 ივლისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები,	•			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2021 წლის 6 აგვისტოს.*** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გ აიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ დაამატა რამდენიმე რჩერვა.

3. სარეზოლუციო ნაწილი

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს *2021 წლის 20 აგვისტოს №807830 სხდომის ოქმის №02 ნაწილი* ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

4.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და დაადგინოს შესაბამის საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის მომწესრიგებელი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს მას დააბალანსოს პერსონალის დატვირთვა, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ყველა იმ უსდ-ის მონაცემების გათვალისწინებით სადაც არის დასაქმებული.

რჩევები

1. იმისათვის, რომ პროგრამამ იპოვოს საკუთარი ნიშა სადოქტორო პროგრამების კონკურენტულ ბაზარზე სასურველია უსდ-მ მოახდინოს „თემატური ბრენდირება“ - საწყის ეტაპზე სამართლის დოქტორანტურის ძლიერი მიმართულებების ირგვლივ რესურსის მობილიზება, რათა პოტენციური მსურველისთვის წინასწარ იყოს ცხადი პროგრამის ძლიერი მხარეები თემატური კომპეტენციის (მათ შორის ადამიანური რესურსის) თვალსაზრისით. პილოტური სახით, უმჯობესია თუ თავდაპირველი მიღებების კონცენტრაციის არეალი წინასწარ განისაზღვრება 2-3 ძირითადი მიმართულებით, რომლის პროგრამულ და მარკეტინგულ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტი;
2. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
3. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოწესრიგებული იყოს დოქტორანტურის დებულებით და გარკვეულწილად საგანმანათლებლო პროგრამაც შეიცავდეს/ავსებდეს შესაბამის ინფორმაციას;
4. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის აღწერილობაში დაზუსტდეს ჩანაწერი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ვადასასთან დაკავშირებით;
5. სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა ქართულ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაცია/დაწესებულებებთან და გაფორმდეს შესაბამისი მემორანდუმები;
6. მიზანშეწონილია დაზუსტდეს და უფრო კონკრეტულად გაიწეროს შესაბამის საუნივერსიტეტო აქტებში, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისა და რეგულირების პროცედურები;
7. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს დაუწესდეთ დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი;
8. გადაიხედოს და შეივსოს ინფორმაციით დაწესებულების ცალკეული მარეგულირებელი და პროცედურის აღმწერი წესი (რომელზეც მსჯელობა გვქონდა დესკრიფციულ ნაწილში უწინარეს ყოვლისა), რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციის სამომავლო ცვლილებისათვის;
9. ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების ინპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს ვორკშოპები და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 6 აგვისტოს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ